ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 104

წელიწადი მეორე
მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე
ყოველდღიური გაზეთი

ფასი 1 მან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 14 მაისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი
— ოპერა. —
ნ. ი. ველახიშვილის დირექცია.
ოთხშაბათს, მაისის 14, შულგინას, ციშემირსკაიას, მოროზოვას და სარაჯიშვილის მონაწილეობით
მე-12-ჯერ „აბესალომ და ეთერი“.
ხუთშაბათს, მაისის 15, პეტროგრადის მუსიკალური დრამის ცნობილი მსახიობის მ. ხ. დავიდოვას მონაწილეობით „ქ-ნი ნიტუში“.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობა
იწვევს ექიმებს,
რომელთაც სურთ დაიკავონ შემდეგი შტატები, მსურველთ განცხადება უნდა შემოიტანონ მედიკო-სანიტარულ განყოფილებაში (ქალაქის თვითმართველობა) ამა წლის მაისის 23-მდე თავის ცხოვრების დაწვრილებით აღწერით. (curriculum vittae).
თავისუფალი ადგილები:
უფროს ორდინატორის და 2 უმცროსი ორდინატორის გადამდებ-ტერაპევტიული განყოფილებაში (ახალი ბარაკები), პროზექტორის და მისი თანაშემწის, 2 უმცროსი ორდინატორის გადამდებიან ავადმყოფთა განყოფილებაში (ძველი ბარაკები) და ერთი უმცროსი ორდინატორის საბავშო განყოფილების, ერთი უმცროსი ორდინატორის ქირურგიულ განყოფილებაში, და აგრეთვე მე-7—8 უბნის სანიტარულ ექიმის, უფროს ორდინატორისა და სანიტარულ ექიმის თანამდებობისთვის აუცილებელია ქართული ენის ცოდნა. 241 2—2

დიდი ხნის ნამსახური
ასწავლის ბეჭდვას
ქართულ საწერ მანქანაზე
და ამზადებს სპეციალურად დაწესებულებებისთვის (ყველა სამსახურის ქაღალდების ფორმების შესწავლით). აქვე ასწავლიან ქართულ ენას და აგრეთვე იღებენ გადასაწერ ქაღალდებს. ლერმონტოვის ქ., № 29. 823 3—1

სახალხო განათლების სამინისტრო
აცხადებს,
რომ ქ. ტფილისში სიმწიფის მოწმობის მისაღებად გამოცდათა ჩაბარება ექსტერნებს შეუძლიათ მხოლოდ ტფილისის ვაჟთა მერვე გიმნაზიაში მიმდინარე წლის 15 მაისიდან. 856. 1—1

[illegible]

ბრძანებანი

მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.

8 აპრილი, 1919 წ.

№ 104.

ინიშნება: სოჭის ოლქის სახელმწიფო მამულების მმართველი პეტრე გრიგოლის ძე იზმაილოვი დროებით ა. წ. 4 აპრილიდან სასოფლო-სამეურნეო განყოფილების სპეციალისტათ.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

4 აპრილი, 1919 წ.

№ 105.

დათხოვნილია: სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა საქართველოს ტერიტორიის სახელმწიფო მიწათა ფონდის სანაწილო გამგე სამსონ ეფრემის ძე მურვანიძე.

№ 106.

ინიშნება: საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სახელმწიფო მიწების ფონდის სანაწილო გამგეთ მაზრებში და ოლქებში ვიქტორ ჰელიძე ა. წ. 1 აპრილიდან.

მინისტრის მაგიერ
ბ. გელეიშვილი.

№ 107.

მივლინებულ იქნან: ტფილისის სახელმწ[illegible] და ასისტენტი ყანჩაველი ტფილისის ბოტანიკურ ბაღისადმი.

8 აპრილი 1919 წ.

№ 108.

ევალება: ტფილისის საჯინიბოს გამგეს ა. ი. მერვას ქალ. ტფილისში მანთაშევის ეროვნული-ძვირფასი მამულის საძოვარი მოწყობის გამგეობა ა. წ. 1 აპრილიდან.

№ 109.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან მიწათ-მოქმედების სამინისტროს მთავარი რწმუნებული შავი ზღვის ნაპირად ბელაძე ა. წ. 1 თებერვლიდან.

№ 110.

დანიშნულია: მამულების „სინოპის“ და „დიოსკურიას“ მმართველი ი. შარაშიძე მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილების სპეციალისტათ ა. წ. 5 აპრილიდან.

№ 111.

დათხოვნილია: ბუღალტერის თანაშემწე ფილიპოვი თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ა. წ. 16 აპრილიდან შტატების შემცირების გამო.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

№ 112.

[illegible] ანდრია გიორგის ძე შენგელიშვილი ამა წლის 1 აპრილიდან.

მინისტრის მაგიერ
ბ. გელეიშვილი.

8 აპრილი, 1919 წ.

№ 113.

დაინიშნოს: [illegible] ძვირფას მამულის მიმღებ კომისიის დროებითი წევრათ პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გ. ე. მინძიაშვილი ა. წ. 5 აპრილიდან 750 მან. თვიური ჯამაგირით.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

24 აპრილი, 1919 წ.

№ 1.

დაინიშნა: სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელ მოსამართლის მდივნათ დიონისე გიორგის ძე ჯინორიძე 1919 წლის, აპრილის 24-დან.

№ 2.

დაინიშნა: სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელ მოსამართლის თარჯიმნათ დიმიტრი რომანოზის ძე კაჭარავა 1919 წ., აპრილის 24-დან.

25 აპრილი, 1919 წ.

№ 3.

დაინიშნა: სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიაში გადამწერათ სევასტი დიმიტრის ძე კვაშანტირაძე 1919 წლის, აპრილის 25-დან.

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე
გამყრელიძე.

მთავრობისაგან

სამწუხარო ფაქტის—ინგლისელ ექიმის მაგოვერნის მკვლელობის გამო, საქართველოს მტრები ავრცელებენ სრულიად უსაფუძვლო და პროვოკაციულ ხმებს, ფუენებენ ამ ფაქტს მტრული მიმართულებით და აწყობენ მით სპეკულიაციას. საქართველოს მთავრობა, ღრმად შეწუხებული მომხდარი ამბავით, კიდევ აცხადებს, რომ მის მიერ მიღებული ყოველგვარი ზომები გატარდება მკვლელ-მოქმედთა დასასჯელად.

ამასთანავე ერთად სამართალში არიან მიცემული ის პირნი, რომლებიც პასუხის მგებელნი არიან დამნაშავეთა გაქცევაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

ქურდობა თელავის მაზრაში.

თელავის მაზრის კომისარი აცნობებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ უკანასკნელ დროს მაზრაში ძლიერ გავრცელდა მუშა საქონლის ქურდობა. თუ ასე გაგრძელდა ხალხი უმუშა-საქონლოთ დარჩება. ქურდობასთან ბრძოლას ხელს უშლის საზოგადოებისაგან ქურდების დამალვა და ხელის შეწყობა.

კანონ-პროექტები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო იმუშავებს კანონ-პროექტს წვრილი ერთეულობის კომპეტენციის შესახებ, რომელიც ბევრათ უფრო ვრცელი იქნება ვიდრე არსებული დებულება წვრილ ერთეულის შესახებ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრო იმუშავებს კანონ-პროექტს ველიის სახელმწიფოთაგან [illegible]

სპარსეთის მთავრობის რწმუნებული.

სპარსეთის საგენერალო საკონსულომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სპარსეთის მთავრობის წარმომადგენლათ ბორჩალოს მაზრაში დაინიშნა მაჰმუდ ხან ასირი, რომლის რეზიდენციათაც ქ. შულავერი იქნება.

საგუბერნიო სადმინისტრაციო დაწესებულებანი.

ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოები უკვე გაუქმდა 1 მაისიდან. მოსამსახურენი შტატგარეშე დარჩნენ საზოგადო წესით. ის მოსამსახურენი, რომელნიც საერობო სამუშაოებს აწარმოებდნენ იმ ადგილებში, სადაც ჯერ ერობა არაა შემოღებული, გადმოიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატეხნიკო სათათბიროში.

საერობო გზები.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშავდება მოხსენება იმის შესახებ, რომ საერობო გზები რამდენიმე ერობების ტერიტორიაზე გაყვანილი ან რამდენიმე მაზრაში შესული, სადაც ერობაა შემოღებული, სათანადო საერობო გამგეობათა ხელში იქნეს გადაცემული.

იმ მაზრებში კი სადაც ჯერ ერობა არ არის შემოღებული, ამ გზების გამგეობა დარჩება წინანდელ ადმინისტრაციის ხელში.

სახალხო განათლების სამინისტროში.

ლაგოდეხის გიმნაზიის რევიზია.

ბ-ნ დავით ქადაგიძეს (თელავში) მიენდო რევიზია მოახდინოს ლაგოდეხის სასწავლებლებისა.

რევიზია ლანჩხუთისა და ოზურგეთის სასწავლებლებისა.

ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს ბ-ნ ამ. სვანაძეს სამინისტროს მიერ დავალებული აქვს რევიზია მოახდინოს ლანჩხუთისა და ოზურგეთის ქალ-ვაჟთა გიმნაზიებისა.

ექსტერნებისათვის გამოცდები ხაშურში.

განათლების სამინისტრომ ნება დართო ხაშურის გიმნაზიას მოახდინოს გამოცდები ექსტერნებისთვის რუსულ ენაზე და რუსულ გიმნაზიების პროგრამების მიხედვით.

ატესტატი გიმნაზიებს.

განათლების სამინისტრომ უკვე დაუგზავნა საშუალო სასწავლებელთა უფროსებს სათანადო რიცხვი ატესტატებისა აბიტურიენტებისათვის. ამასთან სამინისტრომ აცნობა საშუალო სასწავლებელთა უფროსებს, რომ უნდა წარადგინონ ადგილობრივ ხაზინაში, სამინისტროს დეპოზიტებზე, ატესტატებისათვის გაწეულ ხარჯების დასაფარავად, თითო ცალზე ხუთი მანეთი. სამინისტროს განკარგულებით რუსი (ან სხვა ერის) აბიტურიენტებისათვის შესაძლებელია ატესტატზე წარწერა იყოს პირველ გვერდზე სახელმწიფო ენაზე, ხოლო მეორე გვერდზე რუსულ ენაზე. ხოლო ქართველთათვის კი ატესტატი უნდა დაიწეროს მხოლოდ სახელმწიფო (ქართულ) ენაზე.

სალიკვიდაციო ფული [illegible] ყოფილ მასწავლებელთ.

განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა მან გაუხსნას განათლების სამინისტროს სათანადო კრედიტი (საერთო ხარჯთ-აღრიცხვაც წარმოდგენილია) ტფილისის სასულიერო სკოლის ყოფილ მასწავლებელთ [illegible]

გიორგობიანი იტყობინება სოხუმიდან, მას კიდევაც დაუსრულებია რევიზია ოჩამჩირის გიმნაზიისა. მოხსენება ამ მოკლე ხანში იქნება წარდგენილი სამინისტროში.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

ბორჩალოს მაზრის ერბო-ყველის ქარხნები.

ბორჩალოს მაზრიდან დაბრუნდა საგანგებო კომისია მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგანგებო რწმუნებულის ბ. ა. ქ. კორინთელის თავმჯდომარეობით. კომისიას აუწერია და დაუთვალიერებია 14 ყველისა და ერბოს სახდელი ქარხანა. კომისიას ფრიად მდიდარი მასალა მოუგროვებია თრიალეთის მაზრაში ყველისა და ერბოს გამოხდის შესახებ. აგრეთვე გამოურკვევია ამ კუთხის ადგილობრივ მცხოვრებთა მიწათ-მფლობელობის და მიწით დამუშავების საქმე. კომისიის მოხსენებით, რომელიც უკვე წარედგინა მიწათ-მოქმედების სამინისტროს საბჭოს მეერბოების და მეყველეობის განსავითარებლათ საჭიროა დაარსება მთელი წყება საარტელო ქარხნებისა იმ ადგილებში, სადაც მომთაბარენი მისდევენ საქონლის მოშენების საქმეს. მერძეობის მეურნეობის და ყველის ხდის საქმის რაციონალურ წარმოებისათვის კომისია სცნობს საჭიროთ შემდეგ პირობების გატარებას ცხოვრებაში, რომელიც საჭიროა მერძევე საქონლის შესანახათ და გამოსაკვებათ. უპირველეს პირობათ კომისია საჭიროთ სცნობს თემურ მიწის მფლობელობის გაუქმებას, რადგან იგი ძალიან აფერხებს კულტურულ საცდელ მინდვრის შექმნის საქმეს საკვებ ბალახეულობის შეგროვებაში და მის მოსავლის მიღებაში.

შემდეგ საჭიროთ სცნობს საძოვრების მორწყვის საქმის შექმნას არხების და წყლის მოსაგროვებელ ჰებების გაყვანით, რაც ადვილი მოსახერხებელია ადგილობრივ კარგ რელიეფის არსებობის გამო. გარდა ამისა საჭიროდ სცნობს მინდვრის საზამთრო საკვებ თესლეულობით განვითარებას გარდა თივისა, მაგალითად ჭარხლით, ქერით და სხვ. კომისიის აზრით უნდა დატოვებულ იქნას კულტურული საცდელი მეურნეობა და ბოლოს თხოულობს სათესლე მეურნეობის ინტენსიფიკაციას ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

შვეიცარულ ყველის წარმოება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, კომისიის აზრით, ფერხდება პირველათ იმ გარემოებით, რომ ყველა ქარხნები აკლებულია მეზობელ მცხოვრებთა მიერ და საქონელიც, რომელიც საჭიროა საჭირო რძის მისაღებათ, გარეკილია საკლავათ ბაზრებზე.

ადგილობრივი მექარხნენი ფიქრობენ, წარმოების უწინდელ ფარგლებში ჩაყენებას, თუ ადმინისტრაციის მხრივ მათ აღმოუჩნიებათ დახმარება წინააღმდეგ იმ ყაჩაღებისა, რომელნიც ამ ჟამათ დათარეშობენ ამ მაზრაში. კომისიისავე აზრით საჭიროა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მიიღოს ფიცხელი ზომები ქინახულის გაფუჭების და საქონლის გარეკის წინააღმდეგ მომთაბარეთა მხრივ.

ბორჩალოს მაზრის ბარში კომისიამ სახალხო ფასიან ადგილებათ იცნო მამულები ყოფილ ტნეკოლოფოვების, მელიქიშვილების (ს. ხოჯორნაში) არამიანცის (ს. ლეჯბატიანში) და მანთაშევისა. ამ მამულებში მიწათ-მოქმედების სამინისტრომ უნდა გამართოს საცდელი და საჩვენებელი მინდვრები, ცხენების მოსაშენებელი ქარხანა და დათესოს სხვა და სხვა სამხრეთული კულტურები, რომელთაც შეეძლოთ ასწიონ ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიური კეთილდღეობა და სიკეთე. მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგანგებო რწმუნებული გ. კორინთელი ამ დღეებში კვლავ მიემგზავრება ამ მაზრაში აგრონომ ბ. ტუკოვსკისთან ერთად სახალხო ფასიან მამულების საბოლოო მოსაწესრიგებლად და საექსპლოატაციოთ.

გზათა სამინისტროში

ტფილის-კავკავის საულელტეხილო გზა.

საქართველოს რესპუბლიკის გზათა მიმოსვლის სამინისტრო საჩქაროდ იხილავს საულელტეხილო ტფილის-კავკავის რკინის გზის პროექტს კონცესიის გასაცემად. საულელტეხილო რკინის გზის ამხანაგობის გამგეობა საქართველოს მთავრობისაგან კონცესიის მიღების შემდეგ თერგის ოლქის მთავრობის წინაშე შუამდგომლობას აღძრავს, რათა დაამტკიცოს კონცესია რკინის გზის დანარჩენ ნაწილზე, რომელიც თერგის ოლქის ტერიტორიაზეა, სადგურ ლარსიდან სადგურ ბესლანამდე.

26 მაისის ზეიმი.

მუსიკა 26 მაისს.

კომპოზიტორი ქ. ფოცხვერაშვილი მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში ხალხურ მომღერალ მოცეკვავეთა მოსაწვევათ ამ დღისათვის.

დამფუძნებელ კრების სამუსიკო სექციამ 26 მაისისათვის სადღესასწაულო ჰიმნი საგალობელთა და საგანგებოთ დაწერილ პიესათა საჯაროთ ასრულება მიანდო კომპოზიტორ ქ. ფოცხვერაშვილს.

მრავალ რიცხოვან ქალვაჟთა გუნდი შეასრულებს ეროვნულ გიმნს სპეციალურ კომისიის მიერ ახლათ დამუშავებულს და გაორკესტრებულს.

300 კაცისაგან შემდგარი მესაყვირეთა გუნდი შეასრულებს სიმფონიურ ნაწარმოებს „ამირანს", რომელიც ამ დღისათვის საგანგებოთაა დაწერილი. შესრულებული იქნება აგრეთვე 5 ახალი ქართული მარში და რამდენიმე ქართული სიმღერა.

სახელმწიფო თეატრში ამ დღეს დაიდგმის თითო მოქმედება ოპერებიდან „აბესალომ და ეთერი" და „თქმულება შოთა რუსთაველზე". დასასრულ სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს „ამირანს" მუსიკა ქ. ფოცხვერაშვილისა.

ლიტერატორთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია მაისის 26 აღსანიშნავად, სხვათა შორის, გამოსცემს საგანგებო გაზეთს სახელად: „მაისის 26".

უმორჩილესად გთხოვთ ამ გაზეთისათვის მოგვაწოდოთ პატარა მასალა, რაც შეიძლება მოკლეთ. სასურველია მასალა შეეხებოდეს დღესასწაულს. მასალა უნდა გამოიგზავნოს აუცილებლად 5 დღის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

გთხოვთ მასალას გარკვევით მოაწეროთ სახელი და გვარი.

ადრესი: ტფილისი, სასახლე. დამფუძნებელ კრების კანცელარია. ხელოვნების კომისიას.

P. S. კომისია უფლებას იტოვებს შეამოკლოს წერილები.

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია.

ფოსტა-ტელეგრაფი

ბუკის ციხის (ოზურგეთის მაზრა) ტელეგრაფის განყოფილება 10 ამა მაისიდან გადიქმნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათ.

ფოსტის გაცვლა-გამოცვლა დაწესებულია ჩოხატაურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან, რომელიც შორავს ბუკის ციხეს ექვსი ვერსით.

რკინის გზაზე

სამსახურიდან გადაყენება და დათხოვნა.

— მოხელე დანტი სახაზინო ფულების მითვისებისათვის გადაყენებულ იქნა სამსახურიდან საქმის გამოძიებამდე.

— გზის უფროსის განკარგულებით ფულის გატაცების საქმისთვის ნავთლუღის სადგურის უფროსის თანაშემწე ფედოროვი დათხოვნილია სამსახურიდან, სადგურის უფროსი ჩიქოვანი, საქმის მწარმოებელი შარაბიძე, სადგურის უფროსის თანაშემწე ბოჰორიძე, ფულის ჩანთების მიმღები რუხაძე, მოხელე ლიხენკო გადაყენებული არიან სამსახურიდან.

— განკარგულების არა ერთხელ შეუსრულებლობისათვის, მატარებელში მგზავრებისაგან ფულის გამორთმევის შესახებ, სახალხო მატარებლის მჩხრეკავი ჰუმბურიძე გადაყენებულია სრულიად სამსახურიდან ჯამაგირის გამოწერის შეწყვეტით.

— სადგურ საჯევახოს მეისრე გოგიტიძე, მონაწილე ფქვილიანი ვაგონის გაძარცვაში გადაყენებულია სამსახურიდან.

— მეისრე ლიბრაძე, გაუგებარი მიზეზების გამო სამსახურში არ გამოცხადებისათვის გადაყენებულია სამსახურიდან.

— თავის ნებით კომისიიდან წასვლისათვის სათადარიგო მეისრე ვერულაშვილი გამორიცხულია სამსახურიდან.

— ტფილისის სადგურის საბარგო მატარებლების კონდუქტორები ნიკოლოზ რუხაძე და სვიმონ ლემბენკო ლნ-ის განკარგულებით ამა წლის 9 იანვარს მე-3 №-რი მატარებლის 3 ფუთით და 1 ტომარა მატყლით საბარგო მატარებლის უსაბუთოდ დატვირთვისათვის გამორიცხულია სამსახურიდან, პირველი მათგანი გზათა სამსახურში უკან მიუღებლათ.

მოსამსახურეთა სანოვაგის გადაზიდვა.

— ვინაიდან არსებული საშუალება რკინის გზის მოსამსახურეთათვის სანოვაგის გადაზიდვისა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილამდე იწვევს აუარებელ გაუგებრობას, ამა წლის აპრილის 15-დან დაწესდა ქვემოდ მოყვანილი: თითო ბილეთით შეიძლება გადაზიდულ იქნას არა უმეტეს 3 ფუთი სანოვაგისა, რომელიც უნდა იქნეს მიცემული საბარგოში საერთო საფუძვლით, აუცილებლათ საბარგო ნუსხის ამოწერით და საბარგო კვიტანციის მიცემით. თვითეულში აღინიშნოს № სანოვაგის ბილეთის მოწმობისა. მოწმობაზე ისმება ბეჭედი საბარგოსი. სანოვაგე გადატანილ იქნება საბარგო ვაგონით იმ მატარებლებით, რომელშიაც შეიძლება დაშვებულ იქნან მოსამსახურენი სანოვაგის ბილეთით.

ე რ ო ბ ა

წვრილი ერთეულების არჩევნების გადადება ქუთაისის მაზრაში.

(დეპეშა)

ქუთაისის მაზრაში წვრილი ერთეულის არჩევნები გადაიდო შვიდ ივნისისათვის. საკანდიდატო სიები უნდა წარმოადგინონ 31 მაისს.

გ. ნუცუბიძე.

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

ქუთაისის სამაზრო ერობას იუსტიციის სამინისტროდან შემდეგი განკარგულება მოუვიდა: იუსტიციის სამინისტრომ დანამდვილებით იცის, რომ ხშირათ გამოძიება მეტად ფერხდება ქალაქებში და მაზრებში იმის გამო, რომ მოკლულთა გვამების თავის დროზე გაჰრა და შემოწმება შეუძლებელი ხდება, რადგან ქალაქის და საერობო თვითმართველობებს არა ჰყავთ ექიმები. კერძო ექიმების მოწვევა კი შეუძლებელი ხდება დიდი ხარჯების გამო. ამიტომ გთხოვთ იყოლიოთ აუცილებლათ სამსახურში ექიმთა საჭირო რიცხვი, და დაავალოთ მოკლულთა გვამების გაჰრა-შემოწმება, როცა ამას მოითხოვს გამომძიებელი. ამასთანავე აცნობოთ გამომძიებელთ ექიმების გვარი და სახელი.

ეპიდემიის წინაამდეგ ბრძოლა.

სვირის სამედიცინო პუნქტზე ეპიდემიის წინაამდეგ საბრძოლველად დაინიშნა ალექსი არდიშვილი.

ზ ო ნ ი.

ზონის საზოგადოება ერობის გამგეობას სთხოვს რომ შეაკეთონ სარწყავი არხი, რომელიც ადიდებულმა ცხენის წყალმა საგრძნობათ დააზიანა.

დახმარება.

ტფილისის ფიზიკურმა ოფსერვატორიამ ქუთ. ერობის გამგეობას სთხოვა 1000 მ. სუფსიდია მეტეოროლოგიური სადგურის გასაფართოებლათ, რაც ერობამ დააკმაყოფილა.

გამგზავრება.

ერობის გამგეობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძე საქმეების გამო ტფილისს გაემგზავრა.

თელავის ერობაში.

თელავის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ვახვახიშვილი და წევრები ნ. რამიშვილი და ბ. ჰუმბურიძე ტფილისიდან დაბრუნდენ, სადაც ერობის საქმეზე იყვნენ წასულნი,

— მთავრობის რწმუნებულ ექიმ კობაძის განკარგულებით თელავის მაზრის სანიტარულ ექიმათ დაინიშნა ერობის გამგეობის წევრი ექ. ალ. ხითაროვი, რომელსაც განსაკუთრებითი უფლებები ექნება მინიჭებული.

— თელავის სამაზრო ერობის გამგეობამ ერობის სამეურნეო განყოფილების გამგეთ მიიწვია ივანე პაატაშვილი.

— თელავის ქალაქის საავადმყოფოს ექიმათ მიწვეულია ექიმი ივ. ჯაფარიძე.

— ტფილისის მოქალაქე ბაგრატ მიქელაძემ განცხადება შეიტანა ერობის გამგეობაში თელავ-ენისელ-ყვარელ ახალ-სოფლამდე ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანის შესახებ 55 ვერსის მანძილზე.

სატარიფო პალატის დაარსების შესახებ.

შრომის სამინისტრომ ყველა მუშათა ცენტრალურ ორგანიზაციას და მრეწველთა ორგანოს დაუგზავნა შემდეგი მიმართვა:

არაჩვეულებრივი სიძვირე, რომელიც იზრდება, აიძულებს მუშებს მოითხოვონ ხელფასის გადიდება. ეს მოთხოვნა უკანასკნელ ორწელს ძალიან ხშირი იყო, მაგრამ იგი წარმოდგენილი იყო მუშების მიერ არა ერთდროულათ და არა ერთნაირ ფორმაში და რაოდენობაში.

მათ მიზნათ აქვთ წინაამდეგობა გაუწიონ სიძვირის ზრდას და ხელფასის საკითხის გამოურკვევლობის გამო ხდებოდენ ერთ-ერთ მიზეზათ ამ სიძვირისა, რადგან ხელფასის გადიდება წარმოების მხოლოდ ერთ დარგში, გამოიწვევდა წარმოების ფასის გადიდებას მეორეში, და იქ სადაც მოთხოვნა არ იყო წარმოდგენილი, მუშები ტანჯული ელემენტები იყვნენ და უკან რჩებოდენ თავის მოთხოვნებში ბაზრის ფასების ზრდაზე. მეორემხრით გამოურკვევლობაა, წარმოადგენს ესა თუ ის კავშირი მოთხოვნას სამუშაოს ქირის გადიდების შესახებ და თუ წარმოადგენს, როდის და რა რაოდენობით,—ეს სხვა მიზეზებთან ერთად ქმნის მრეწველობისთვის შეერყევ მდგომარეობას, რომლის განვითარება დამოკიდებულია წარმოების პირობების გამორკვევის აუცილებლობაზე, თუნდა რამოდენიმე დროით მაინც იდრე. სხვა საქმეა—როცა წარმოების ყველა დარგში ერთდროულათ და ცოტათ თუ ბევრათ ზომიერათ დიდდება სამუშაოს ქირა, და სულ სხვაა, როცა ეს გადიდება შემთხვევითი ხასიათისაა და ხდება სხვა და სხვა დროს.

არა ნორმალურია აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ წარმოების ზოგ დარგში მუშების ერთი და იგივე კატეგორია არის (პროფესიით და კვალიფიკაციით) ღებულობენ სხვა და სხვა სამუშაო ფასს, რომლის წყალობითაც იქმნება კონკურენცია მუშებს შორის და საუკეთესო მუშები ერთი დარგიდან გადადიან მეორეში, სადაც მეტი ქირაა და ამით ირღვევა წარმოების ნორმალური განვითარება.

ყველა ეს გარემოება, რომელიც ერთნაირათ მძიმე გავლენას ახდენს მუშებზეც და წარმოებაზეც, მხედველობაში მიიღო აპრილში მომხდარმა საქართველოს პროფესინალურ ორგანიზაციათა ყრილობამ, რომელმაც აუცილებლათ სცნო სამუშაო ქირის საკითხის მოწესრიგება.

პრაქტიკულათ ამ საკითხის მოწესრიგებას შეიძლება მივაღწიოთ განსაკუთრებულ სატარიფო პალატის დაარსების საშუალებით.

სატარიფო პალატა ერთსა და იმავე დროს მთელ რესპუბლიკაში დააწესებს სამუშაო ქირას ყველა საწარმოოთა მუშების და მოსამსახურეთა ყველა კატეგორიისათვის, კვალიფიკაციის ხარისხის და ტერიტორიის შეფარდებით, აწარმოებს სასურსათო სტატისტიკას, პერიოდულათ გადაშინჯავს დადგენილ ტარიფებს პირველ საჭიროების საგნების გაძვირებასთან დაკავშირებაში.

ყველა კავშირები წარმოადგენენ კოლექტიურ ხელშეკრულებას და ყოველგვარ მოთხოვნას გაატარებენ მათ სატარიფო პალატაში სხვა ხელშეკრულებებთან შესათანხმებლათ.

პალატის მიერ დადგენილი ცხოვრების გაძვირება გამოიწვევს სამუშაო ფასის გადიდებას არა ერთ ჯგუფისთვის, არამედ ყველა მუშებისთვის, წარმოების არა ერთ დარგში, არამედ მთელ მრეწველობაში. ყველა მუშების კავშირთა მოქმედების კოორდინაცია წინააღმდეგობას გაუწევს ყველა მწარმოებელთა მოქმედების კოორდინაციას, რის გამო აშორებული იქნება ბევრი ზედმეტი შეჯახება, მივიღებთ დროს ეკონომიას და ეს ქვეყნის მწარმოებელ ძალთა განვითარებაზე უეჭველათ წარმატებითი გავლენას მოახდენს.

სატარიფო პალატის შემადგენლობის პროექტი შემდეგია: მუშათა და მწარმოებელთაგან ათ-ათი წარმომადგენელი და თავმჯდომარე შრომის სამინისტროს წარმომადგენლის სახით.

მუშათა წარმომადგენლები იგზავნებიან:

1) სამი საქართველოს პროფ. კავშირების ცენტრალურ საბჭოდან.

2) სამი—პროფესიონ. კავშ. ტფილისის საბჭოდან.

3) ოთხი — რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირიდან.

მწარმოებელთა წარმომადგენლები იგზავნებიან: 1) ორი—ფაბრიკა-ქარხნების ტფილისის საზოგადოებისაგან, 2) ერთი—შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან, 3) ერთი—ბანკების კომიტეტისაგან, 4) ერთი—სავაჭრო-სამრეწველო პალატისაგან, 5) ერთი—ქალაქთა კავშირისაგან, 6) ერთი—ერობათა კავშირისაგან, 7) ერთი—ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგან, 8) ერთი—გზათა სამინისტროსაგან და 9) ერთი—მიწათმოქმედების სამინისტროსაგან.

აუცილებელ შემთხვევებში შეიქმნებიან კომისიები, რომელშიც შევლენ პირდაპირ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები.

ასეთი არის დასაარსებელ პალატის ძირითადი დებულება. უფრო დაწვრილებითი გამორკვევა კომპეტენციისა მოხდება თვით პალატის მიერ.

სატარიფო პალატის დაარსებას აქვს მეტად საჩქარო ხასიათი, რადგან გამწვავებული სასურსათო კრიზისი პირველ რიგში აყენებს არსებულ სამუშაო ქირის გადასინჯვის საკითხს.

შრომის სამინისტრო იმედოვნებს, რომ, როგორც მუშათა, ისე მწარმოებელთა ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით მოეპყრობიან წარმოდგენილ საშუალებას სამუშაო ქირის მოწესრიგების შესახებ და პალატაში თავის მუშაობით შექმნიან შედარებით უფრო გაუკეთესებულ პირობებს ქვეყ[illegible] ეკონომიურ

[illegible] კალდებული არიან და ფინანსიურ [illegible]ცემათ განყოფილებაში შარამელიც და[illegible]

შემსყიდ და სარაიონო კომიტეტებს, უზანოიჯი კრუშას 212 მან. ფუთს, ზეთის [illegible] ტომატს 60 მ. ფუთს. [illegible] ქაშაყი (სელდი) და ტომატი მიეცე-ცი[illegible] 825. 3—3.

სატარიფო პალატის პირველ სხდომაზე, რომელიც მოხდება 16 მაისს, 6 საათზე (შრომის სამინისტროს შენობაში).

შრომის მინისტრის ამხანაგი ერაძე.
საქმეთა მმართველი გოლდმანი.

ლტოლვილები

მანგლისში მყოფი ლტოლვილები რიცხვით 300 კაცი თავიანთ სამშობლოში, ახალქალაქის მაზრაში, გაემგზავრენ.

ბათომის ოლქის ლტოლვილები, რომლებიც სურამში იმყოფებოდნენ თავის სამშობლოში დაბრუნდენ.

სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში და ჩრდილოეთ კავკასიაში იწყებს ლტოლვილების თავიანთ სამშობლოში დაბრუნების საქმეს.

მუნიციპალური ცხოვრება

სამსახურიდან განთავისუფლება.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ჩილაჩავა, თანახმათ მისი თხოვნისა განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

კონცერტები.

ქალაქის გამგეობამ ქართულ სამუსიკო საზოგადოებას ნება დართო მთელი ზაფხულის განმავლობაში კონცერტები მართოს ალექსანდრეს ბაღში და მუშტაიდში.

ექიმების დამტკიცება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაამტკიცოს თანამდებობაზე ის ექიმები, რომელნიც შტატში ჯერ არ არიან ჩარიცხულნი და ქალაქის საავადმყოფოებში მუშაობდენ გაფიცვის დღიდან.

ქალაქის საბჭო

12 მაისი.

თავმჯდომარე **ალ. ლომთათიძე**. სხდომის გახსნისას, თავმჯდომარის წინადადებით საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა მ. გრუზენბერგის ხსოვნას.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა დღის წესრიგი და დაადგინა: გადაეცეს რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირს მიწის ის ორი ნაჭერი, რომელიც ძევს ჩერქეზიშვილისა და ცხოვის ადგილებთან 9 წლის ვადით მუშათა კლუბის, ბავშვთა ბაღის, მოედანის და სხვ. გასაშენებლათ.

დახელოვნებულ მუშების ჯამაგირების მომატების შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი. ის აღნიშნავს იმ არა ნორმალურ მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ კვალიფიციური მუშებსა და მათი თანაშემწეების ჯამაგირები ერთმანეთისაგან არ განირჩევიან და ხაზს უსვამს იმ შედეგებს, რომელიც შესაძლებელია ამას მოჰყვეს. მომხსენებელი მოითხოვს, რომ დახელოვნებულ მუშებს ქალაქის თვითმართველობისას მოემატოთ 200 მანეთი თვეში. ამ მომატების შემდეგ საერთო ხარჯი უდრიდეს იქნება 838,370 მან. 60 კაპ.

საბჭომ მიიღო ქალაქის თავის მოხსენება და დაადგინა მოემატოს დახელოვნებულ მუშებს 200 მანეთი.

სასკოლო სასანიტარო ზედამხედველობის რეორგანიზაციის შესახებ მოხს. გააკეთა **შ. მაქელაძემ**. მომხსენებლის აზრით მოწაფეებისათვის საჭიროა სპეციალური დახმარება და ექიმი ვერ შესძლებს მათ დახმარებასთან ერთად ავადმყოფების მიღებას, ამიტომ ის წინადადებას იძლევა შეიქმნეს შტატი 5 ექიმისაგან შემდგარი, რომელიც იზრუნებს მოწაფეების ჯანმრთელობისათვის. ექიმის თანაშემწეთა შტატი უნდა მოისპოს.

4 ადგილას უნდა დაარსდეს ამბულატორიები და მოწაფეების დახმარება ამბულატორიებიდან უნდა ხდებოდეს. მხოლოდ ექიმი ვალდებული იქნება მივიდეს ავადმყოფ მოწაფეთა ბინაზე და დახმარება აღმოუჩინოს მათ.

საბჭომ ეს საკითხი სასკოლო კომისიას გადასცა განსახილველად, რომელმაც ორი კვირის შემდეგ უნდა წარმოუდგინოს საბჭოს.

ქალაქისთავი მოხსენებას აკეთებს გოგირდის აბანოების იჯარით გაცემის შესახებ. მომხსენებლის სიტყვიდან სჩანს, რომ 3 საუკეთესო აბანოები უკვე გაცემულია იჯარით 1,280,000 მანეთად, მხოლოდ ჯერ ის არ დაუმტკიცებია მთავრობას. მომხსენებელი [illegible] ტის ყოფილი უფროსის [illegible] ის ყველა აბანოების ალექსანდრეს ძე ოსიტაშვილი გა[illegible] წინადადებას და ხაზინის სამმართველოს მესამე განყოფილების გამგედ ამა წლის 5 მაისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კანდელაკი.

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორი [illegible]

მომრიგებელ მოსამართლეებათ საბჭომ ფარული კენჭის ყრით აირჩია ი. ჭყონია და ვლად. ჯაფარიძე.

დასასრულ საბჭომ მოისმინა **გრ. გველესიანის** შეკითხვა ბაზარზე პურზე ფასის გადიდების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: საბჭოს დამაკმაყოფილებლად მიაჩნია გამგეობის განმარტება გრ. გველესიანის შეკითხვის შესახებ და ავალებს საბჭოს მიიღოს ზომები პურის შესაძენად და სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ამასთანავე მიღებულ იქმნას ზომები, 1) პური არ იქმნას გატანილი საქართველოს ტერიტორიიდან, 2) მიექცეს ყურადღება, რომ მჭამელთა რიცხვი ხელოვნურათ არ იზრდებოდეს და 3) მოისპოს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში სიმინდის გადატან-გადმოტანის შეზღუდვა.

უცხოეთში

(საქ. დეპ. სააგ.).

მოსკოვი, მაისის 11. (ც. ა. კ. ბ. ბ. პიუროს ბიულეტენი.

ალტენბურგი, მაისის 10. „ნეიე-ფრეიე პრესსე“-ს ცნობით გერმანულ ავსტრიის ყველა პოლიტიკურ პარტიების დეპუტატების საზავო ხელშეკრულების პირობები გერმანიისთვის მიუღებლათ მიაჩნიათ.

ნაუენი, მაისის 9. უცხოეთის პრესა უკმაყოფილოა საზავო ხელშეკრულების პირობებით და ამტკიცებს, რომ ეს ზავი იქნება მიზეზი ევროპაში მრავალი კონფლიქტებისა მომავალში, იგი საერთო ზავისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ეკონომიურ და პოლიტიკურ გადატრიალებამდე მიიყვანს საქმეს, რის შემდეგ ბოლშევიზმის გავრცელების შეჩერება შეუძლებელი გახდება.

პარიზი, მაისის 10. „პტი-პარიზიენ“-ის ცნობით, საფრანგეთის საპარლამენტო წრეები საზავო ხელშეკრულებით კმაყოფილნი არიან.

ლიონი, მაისის 8. **საზავო ხელშეკრულების ტექსტი:** ომი დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს. ეხლანდელ ხელშეკრულების პირობების ასრულებით იწყება ოფიციალური კავშირი მოკავშირეების, გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოების და გერმანიის ყველა სახელმწიფოსთან. ხალხთა ლიგის ხელშეკრულება ავალებს საერთაშორისო უფლება დაცული და ხელშეკრულება ასრულებული იქნას. ხალხთა ლიგის მონაწილეთ და დამაარსებლათ ითვლებიან ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. შემდეგ სახელმწიფოებს მოუწოდებენ მიემხრონ ხელშეკრულებას: დანია, ესპანია, ნორვეგია, პარაგვაი, ჰოლანდია, სპარსეთი, სან-სალვადორი, შვეიცარია და ვენეცუელა. ისინი იქნებიან მონაწილენი ხალხთა ლიგაში იმ პირობით, თუ მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ორი თვის განმავლობაში აუცილებლათ მიიღებენ ხელშეკრულებას. ლიგაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და თვითმართველ ახალშენს, თუ ლიგის ორი მესამედი მის მხარეზე სდგას. გერმანია არ ითვლება ლიგაში არც მონაწილეთ და არც დამაარსებლათ და შეიძლება მონაწილეთ ჩაითვალოს, თუ ლიგის კრილობის ორი მესამედი მიიღებს მას, როდესაც წარადგენს საერთაშორისო ვალდებულების გულწრფელად მიღების გარანტიას. ლიგიდან შეიძლება გამოირიცხოს ყველა მონაწილე, ვინც იმ ვალდებულებას დაარღვევს, რომელიც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ჟენევაში შემდგარ ლიგის საქმიანობა ცხოვრებაში გატარდება ყველა მონაწილეთა წარმომადგენლების კრილობის შემწეობით, თითო სახელმწიფოს 3-ზე მეტი წარმომადგენელი არ უნდა ყავდეს, ცხრათა საბჭოში კი თითო სახელმწიფოს თითო ხმა ექნება, და სხვა წარმომადგენლები, რომელთაც სხვა სახელმწიფოების კრილობა დანიშნავს.

კრილობის და საბჭოს გადაწყვეტილება ყოველ შემთხვევაში ერთხმათ უნდა იქნას მიღებული, გარდა ხელშეკრულებაში გამოტოვებულისა. ეროვნული შეიარაღება შემცირებული იქნება მინიმუმამდე, ეროვნულ თავდაცვის საჭიროებისათვის. მონაწილენი ერთი მეორეს გარეშე მტრის თავდასხმის გარანტიას აძლევენ, ეხლანდელ ტერიტორიალურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ, არ უნდა მიმართონ ომს განსაზღვრულ ვადამდე. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მიღებულ ვალდებულების მიუხედავათ, ომის დამწყები ლიგის წევრი, დანარჩენ მონაწილეთა წინააღმდეგ, შებრძოლათ ითვლება და სპობს ყოველივე სავაჭრო და საფინანსო დამოკიდებულებას და შეიარაღებულ ძალის შექმნას უწყობს ხელს, რომელიც უზრუნველყოფს ლიგის დადგენილების პატივისცემას. ყველა ხელშეკრულების რეგისტრაციას [illegible]ვნი ახდენს. ყველა წინათ დადებული ხელშეკრულება, რომელიც ვერ შეუთანხმდება ლიგის ხელშეკრულებას, უნდა გაუთანასწორდეს მას. იმ ახალშენებში, რომლებიც ომის წყალობით აღარ არიან მეომარ სახელმწიფოების ბატონობის ქვეშ, ლიგა შრომის პირობების აღსრულებას ახალშენების ადგილობრივ მცხოვრებისადმი სავაჭრო საქმეებს და სხ. იარაღით ვაჭრობა, თავისუფლათ მიმოსვლის და ტრანზიტს, სნეულებასთან ბრძოლას და წითელი ჯვრის ორგანიზაციის გაფართოებას თვალყურს ადევნებს. ევროპის პოლიტიკური შეთანხმებები და 1889 წლის ხელშეკრულება ბელგიის, ჰოლანდიის და მოკავშირე სახელმწიფოების შეთანხმებებით შეიცვლება გერმანია აღიარებს ამ შეთანხმებას... (შემდეგ დამახინჯებულია). გერმანია კარგავს უფლებას რეინის მარცხენა მხარეზე და რეინის აღმოსავლეთ 50 კილომ. ზონაზე ჯარის და სიმაგრეთა შენახვისას. გერმანია საარის ოლქის ქვა-ნახშირის მაღაროებს კონცესიონიურსაც და არა კონცესიონიურსაც, მოსამსახურეთა ყველა საცხოვრებელ შენობებით (ზემოთაც და თვით მაღაროებში) საფრანგეთს უთმობს. საარის ტერიტორიას მართავს 5 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ლიგის საბჭო დანიშნავს, და რომელშიც შევა საარის მცხოვრებთაგან ერთი ფრანგი. კომისიის გამგეობა, რომელსაც ხალხთა ლიგის 5 წევრისაგან აირჩევენ, იქნება კომისიის აღმასრულებელი აგენტი რომელსაც ისეთი უფლება ექნება გერმანიის, პრუსიას და ბავარიას ამ ტერიტორიაზე ეკუთვნოდა. როგორც ტერიტორია დაემორჩილება საფრანგეთის საგადასახადო რეჟიმს 15 წლის შემდეგ ყველა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნი. ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს ხმას მისცემენ საფრანგეთთან ან გერმანიასთან კავშირის შენარჩუნების სასარგებლოთ. ლიგა ანგარიშს გაუწევს მცხოვრებთა ხმით მიცემას და საბოლოო რეჟიმის დაწესებას. ის ტერიტორიები, რომელიც საფრანგეთს 1871 წელს ჩამოშორდა 1918 წლის ნოემბრის 11 საფრანგეთის სუვერენიტეტის ქვეშ მყოფათ ჩაითვლება. ელზას-ლორენის ტერიტორია ყოველ ვალდებულებათა გარეშე საფრანგეთს გადაეცემა. გერმანიის სახელმწიფო ქონება საფრანგეთს უსასყიდლოთ გადაეცემა. საფრანგეთი შეკრებს გადასახადებს, რომელიც 1918 წლის ნოემბრის 11-დან უნდა შეკრებილიყო. საფრანგეთი გერმანიიდან გადმოსახლებულთა ქონების კონფისკაციას მოახდენს და გერმანიას მათი ზარალის ანაზღაურებას მოსთხოვს. გერმანია აბრუნებს მცხოვრებთაგან ჯარიმის სახით აღებულ ჯარიმას. გერმანია იხდის სამხედრო და სამოქალაქო 1918 წლის ნოემბრის 11-მდე პენსიებს. რეინზე ყველა ხიდები და ყველა კონცესიის უფლებები ელზას ლორენის რკინის გზებზე საფრანგეთის ხელში უფასოდ გადადის. გერმანია ჩეხო-სლოვაკების და იმ სახელმწიფ. საზღვრების, რომელიც მოკავშ. დააწესეს, სრულ დამოუკიდებლობას აღიარებს. გერმანია პოლონეთს უთმობს ტერიტორიას, რომელიც ბალტიის ზღვით განისაზღვრება აღმოსავლეთ-პოლონეთის საზღვრამდე და ძველ ავსტრია-გერმანია და პრუსია-გერმანიის საზღვარის ნემანამდე, აღმოსავლეთ პრუსიის სამხრეთ საზღვრის განსაზღვრულ ზონამდე მცხოვრებნი ხმას მისცემენ—თუ რომელ სახელმწიფოსთან სურთ დაკავშირება. გერმანია ბალტიის და აღმოსავლეთ პრუსიის და ძველ რუსეთ-გერმანიის საზღვარ შუა მდებარე ტერიტორიას ჰკარგავს. გერმანია უარს აცხადებს (გამოტოვებულია) მოკავშირე სახელმწიფოების სასარგებლოდ იმ ტერიტორიებზე, რომელიც თავისუფალ ქალაქ დანცინგის შემადგენლობაში შედის. ჰელ ჰოლანდის სამხედრო ნავთსადგურის შენობები განადგურდება მოკავშირეთა ზედამხედველობით და გერმანიის ხარჯზე. გერმანია აღიარებს და სავსებით პატივს სცემს იმ ტერიტორიების დამოუკიდებლობას, რომელიც წინათ რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა ბრესტ-ლიტოვის ზავს და ყველა ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, რომელიც კი ბოლშევიკურ მთავრობასთან არის დადებული, საბოლოოდ უარჰყოფს. მოკავშირე სახელმწიფოები რუსეთს უტოვებენ უფლებას გერმანიასაგან მიიღოს ყველა ზარალები და განადგურებულის ანაზღაურება.

ნაუენი, მაისის 10. ბერლინში სამხედრო საველე სასამართლოს ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის საქმის გარჩევა დაიწყო. დამნაშავეებათ ითვლებიან: გუსარი ოტტო რუნგე, კაპიტანი ფონ-ფლიუგარტენი, საზღვაო ლეიტენანტი ფონ რიტგენი, საზღვაო ლეიტენანტი რუდოლფ ლიპმანი, პორუჩიკი კურტ ფოგელი და კაპიტანი უგრანც ველერი. გამოწვეულია 17 მოწმე. დამნაშავეებს ბრალს სდებენ იმაში, რომ გვამზე მოახდინეს თავდასხმა, რამოდენიმე ჭრილობა მიაყენეს და იარაღით ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. გუსარ ოტტო რუნგემ განაცხადა, რომ პირადათ ის ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მიმართ ზიზღს გრძნობდა. ლიბკნეხტის გამოჩენის დროს მან, სიძულვილით გონება დაკარგულმა ორჯერ დაარტყა მას კეტი. აგრეთვე მან რამოდენიმეჯერ კეტი დაარტყა როზა ლიუქსემბურგს. ის ძალიან აღელვებული იყო, მაგრამ სრულიადაც არ ფიქრობდა მოეკლა და არც ერთ ოფიციალურ პიროვნებას ის არ წაუქეზებია. კაპიტან გერსტ ფლიუგრარტენმა თავის თავი დამნაშავეთ არ იცნო, პირიქით, ლიბკნეხტმა დაიმსახურა მისი პატივისცემა, როგორც მებრძოლმა და ის იცავდა ლიბკნეხტს ბრბოს თავდასხმისაგან. მე არ მინდოდა მოეკლა ლიბკნეხტი, სთქვა მან, მაგრამ მე არ მქონდა სხვა საშუალება ხელი შემეშალა მისი სიკვდილისთვის, როდესაც გაიქცა.

მოსკოვი, მაისის 11. მოსკოვის გაზეთების უკანასკნელი ნომრები ვერსალის ზავის შესახებ შემდეგს სწერენ თავი დაანებეს ხალხთა კეთილდღეობაზე და ერთა თვითგამორკვევაზე უაზრო ლაპარაკს, რომელითაც თავი მოსწონდა ვილსონს. სწერს „პრავდა“ სოციალურ რევოლიუცია, რომელიც ვილსონს, კლემანსოს და შეიდემანს გაანადგურებს ეს ხალხოსნური მოძრაობაა. გერმანიის პროლეტარიატს არ აქვს საბუთი სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს თავის მომავალის შესახებ „ვეჩერნიაია იზვესტია“ შეიდემანის მთავრობის დაღუპვის აუცილებლობას მოელის, ზავის ხელის მოწერა ნიშნავს სასიკვდილო განაჩენის ხელის მოწერას. იმ ზავთან შედარებით, რომელიც მოკავშირეები გერმანიას აიძულებენ, ბრესტლიტოვსკის ზავი ისეთი ხუმრობა იყო, რომელსაც ვენების მოტანა არ შეეძლო. გერმანიას სჭირიან ყოველ მხრივ, უვიწროვებენ, 150 მილიარდ კონტრიბუციას ადებენ. ყველაზე უმთავრესი ისაა, რომ გერმანიას აიძულებენ ისეთ პირობებში მოაწეროს ხელი ზავს, რომელიც ჯერ არ გამომუშავებულა. გერმანიამ უნდა გადასცეს თავის ხელმოწერილი ბლანკი, რომელზედაც ისინი დასწერენ მას, რასაც მათ გონება გაუჭრის, შეიდემანის მთავრობა ისეთ მდგომარეობაში ვარდება, საიდანაც გამოსავალი არ არის მან თვით უნდა დააზიანოს თავისი თავი სასიკვდილოთ.

პროვინცია

○ ქ. ფოთის მილიციის უფროსი შინაგან საქმეთა ქუთაისის ინსპექციას ატყობინებს, რომ 15 დღით დააპატიმრა ადგილობრივი ვაჭარი სერგო ძნელაძე, რომელსაც ბრალდება ბოროტმოქმედთა შენახვა.

○ სოფ. ნაბადაში (სამეგრელო) 27 აპრილს ივანე ფაჩულიას უცაბედათ რევოლვერი გაუვარდა. ტყვია მოხვდა იქვე მდგომ ხარბედიას 11 წლის ასულს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს.

○ 29 აპრილს ს. ნახშირღელეში (სიმონეთის საზოგადოება) ნესტორ ლანჩავამ მოჰკლა ხარლამპი კუტივაძე.

○ შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს მარტვილიდან ადგილობრივი კომისარი ატყობინებს, რომ იქ პირველ მაისს გაძარცვეს ანდრია ზ. ფირცხალავა, რომელსაც წაართვეს 60,000 მანეთი და ჩამოართვეს ხელწერილი, რომ მოკლე ხანში კიდევ 10,000 მ. მისცეს მათ.

○ შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს ქუთაისის მაზრის კომისარი, რომ დღესასწაულის დროს ქვაბჭირის ეკლესიის გალავანში, ჯარის კაცს გ. აბულაძეს და ადგილობრივ მცხოვრებს ვ. სინატაშვილს მოუვიდათ ჩხუბი. სინატაშვილმა დანით დასჭრა აბულაძე, რომელიც იქვე გარდაიცვალა, მანვე დასჭრა კომისარის თანაშემწე ილია ყუფარაძე.

○ 7 მაისს, ქუთაისში გელათის ქუჩაზე მცხოვრებ ელიგულაშვილს მიუვიდა უსახელო წერილი ყაჩაღი მორჩაძის სახელით, რომლითაც ის სთხოვდა ელიგულაშვილს ასიათას მანეთს. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა წერილის მიმტანი 15 წლის ყმაწვილი ვლადიმერ იოსების ძე ხაჭაპურიძე, რომელიც გამოტყდა, რომ წერილი თვითონ დასწერა და ეს განზრახვა მისი იყო.

○ ქუთაისში დგებუაძის სახლიდან 4 მაისს ღამით გაიტანეს ტანსაცმელი და სხვა საოჯახო ნივთები. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მოწაფე მიშო მოსეშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაძარცვი.

○ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილემ ა. დავითოლიანმა დააპატიმრა თოლორია და თოდრია, რომელთაც ბრალდებათ პირველი ქართული პოლკის საწყობის გატეხა.

შეცდომის გასწორება.

განყოფილებაში: „იტალიის მისიის მოსვლა ტფილისში“ სწერია: „მისიას შეეგებნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ევ. პ. გეგეჭკორი, მინისტრის ამხანაგი ბ. ქ. ჩხიკვიშვილი... ქალაქის მოურავი ბ. საბახტარაშვილი“, უნდა იყოს: „მინისტრის ამხანაგი ბ. ქ. საბახტარაშვილი... ქალაქის მოურავი ბ. ბ. ჩხიკვიშვილი“.

[illegible]

ეროვნული

ქრონიკა

ტფილისში დაბრუნდა საშუალო სასწავლებელთა მთავარმწმუნებული დანელია.

◆ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის გენერალური კონსული კავკასიაში ლესნიაკი შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. მიღება ყოველ დღე 12—2 საათამდე, გერის ქალმართი, № 3. უკრაინის ყოფილი საკონსულო სააგენტო საქართველოში გაუქმებულია, რის გამო კონსულის ყოფილი აგენტი კულინსკი აღარ არის უკრაინის მთავრობის წარმომადგენელი და ყველა საქმისთვის, რომელიც საკონსულოს ეხება, უნდა მიმართოთ უკრაინის გენერალურ კონსულს კავკასიაში.

◆ 9 მაისს ტერ-ოვაკიმიანცის საწყობიდან ახალ არსენალის ქ. № 7 მოიპარეს 11 ათას მან. საქონელი. დააპატიმრეს ე. მანუკიანცი და მ. ელბაქიძე.

◆ 10 მაისს საღ. 8 საათზე არტილერიის ქუჩაზე მცხოვრებ № 17 მალშეკიჩის ბინიდან 17 ათას მანეთის საქონელი მოიპარეს.

◆ 11 მაისს, საღამოს 8 საათზე სტუმრათ მყოფმა წერეთელ და ლორთქიფანიძის ბინაზე (ყაზბეგის ქ. № 9) პოდპორუჩიკმა საპიორთა ბატალიონის მეორე ცხენოსან პოლკისა არ. ალ. ვაჩნაძემ ისროლა "ბრაუნინგი და მძიმეთ დაიჭრა.

◆ მკერავმა ფიშელევიჩმა განაცხადა, რომ მისი სამკერვალოდან, ოლღას ქუჩა № 3, 35 ათას მანეთის საქონელი გაიტაცეს. შეიპყრეს მისი მსახური ფაშალაშვილი და მეეზოვე.

◆ ექიმი ვირსალაძე მიხეილის სახელობის საავადმყოფოს უფროს ექიმათ დაინიშნა.

◆ 12 მაისს საღამოს 8 საათზე ცნობილი მილიონერი მ. ო. არამიანცი, როდესაც ის მიუახლოვდა სერგეევისა და ლერმონტოვის ქუჩ. კუთხეს თავს დაესხნენ 3 შეიარაღებული პირნი, დაიჭირეს, ჩაითრიეს იქვე გაჩერებულ ავტომობილში და გაიტაცეს. ეს მოხდა ისე სწრაფათ, რომ იქ დამსწრეებმა ვერც კი მოასწრეს მილიციონერების დაძახება. ეს ამბავი აცნობეს მილიციას, რომელმაც სასწრაფო ზომები მიიღო და აღმოაჩინა ავტომობილის შოფერი რომელიც დაიჭირეს. შოფერი უარსა ჰყოფს გატაცებაში მონაწილეობას.

განცხადებანი

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 18-ს, კონტორაში შეიტანა თხოვნა ევგენია ივანეს ასულმა ლემკულმა მის ქმართან იგორ ვლადიმერის ძე ლემკულთან განქორწინების შესახებ. იგორ ვლადიმერის ძე ლემკული მიწვეულია სინოდალურ კანტორაში დასარიგებლათ და მოწმების დაკითხვის დროს დასასწრებლათ. თუ ამ განცხადების დაბეჭდვიდან ერთი თვის განმავლობაში, ლემკული არ გამოცხადდა, საქმის წარმოება გაგრძელდება. 614 1—1

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა წრის მამასახლისთა საბჭო აცხადებს, რომ დაკარგულია რგვალი ბეჭედი რუსული წარწერით: „მამასახლისთა საბჭო“. მოსკოვის უმაღლეს სასწ. სტუდენტთა წრე" ბეჭედი გაუქმებულათ ითვლება. 626 3—1

დაკარგულია მეტრიკული მოწმობა № 3202 აშოთ არუთინის ძე სიმენიანცის, მიღებული სომეხთა კონსისტორიიდან. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 608 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის კვიტანცია № 74566, 500 მანეთის ღირებულებისა, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 612 3—3

1918 წლის ნოემბრის 14-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ზაქარია იაკობის ძე ლოვინოვმა 7000 მანეთად მიჰყიდა ფირუ-ალი მაშად-ოღლის და ასაბაბას-ოღლის მიწის ნაჭერი, ზომით $131\frac{1}{2}$ ოთხკ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისში, საბურთალოზე. გადახდილია: საქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ. სიმტკიცის 280 კ. მთავარი ამონაწერი 35 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 251 1—1

კავკასიის სინოდალური კონტორა თავის 1919 წ. მაისის 7-ს დადგენილების № 189 თანახმათ, ამით აცხადებს, რომ ევდოკია ხარლამპის ასული ბეკერი მიწვეულია სინოდალურ კანტორაში, ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, რათა მან ხელი მოაწეროს კანტორის გადაწყვეტილებას, მის ქმართან ედუარდ ანტონის ძე ბეკერთან განქორწინების შესახებ, და გამოთქვას კმაყოფილება თუ უკმაყოფილება ამ გადაწყვეტილებით. თუ ის არ გამოცხადდა დანიშნულ ვადაზე გადაწყვეტილება № 99 სისრუ-

1918 წლის ნოემბრის 25-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ზაქარია სოლომონის ძე ინაშვილმა 568 მანეთად მიჰყიდა სპარსეთის ქვეშევრდომს ჯაფარ მურად-ოღლის მიწის ნაჭერი ზომით 36 ოთხ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისში ყოფილ აგარაკ „საგაბაშვილო-თხინვალში“. გადახდილია: საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 26 მ. 72 კ., მთავარი ამონაწერი 3 მ. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 249 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმად მისი მოწერილობისა, ყადაღა დადებული ივანე და ვასილი დემენტის ძე იაკოვლევების უძრავ ქონებაზე და აღნიშნული ქ. სოხუმის 1914 წლის ყადაღათა კრებულში № 2, გაუქმებულია. 25 თებერვლის 1919 წელს. ქ. სოხუმის 1919 წლის ყადაღათა კრებული. 550 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის 1 უბნის მომრიგებელ მოსამართლის მოწერილობის თანახმად, ივანე თედორეს ძე მაიროვის უძრავ ქონებაზე, მდებარე ს. აბჟაკოკში გუმისტანის უბანში, დადებულია ყადაღა ივანე კუკლინის პრეტენზიის გამო, სულ 1000 მან. სოხუმის ოლქის 1919 წლის ყადაღათა კრებული № 4. 546. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ყადაღა ელევთერი ანტონის ასულ სირგანიძის უძრავ ქონებაზე დადებული, რომელიც აღნიშნულია ქ სოხუმის 1913 წლის ყადაღათა კრებულში № 86, გაუქმებულია. 1919 წლის თებერვლის 25-ს ქ. სოხუმის 1919 წლის ყადაღათა კრებული № 24. 551. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ თანახმათ მისი მოწერილობისა, ყადაღა დადებული ვლადიმერ შარვანის ძე კოზმავას უძრავ ქონებაზე და აღნიშნული ქ. სოხუმის 1910წ. ყადაღათა კრებულში № 42, გაუქმებულია 1919 წლის თებერვლის 25-ს, ქ. სოხუმის 1919 წლის ყადაღათა კრებული № 25. 552 1—1

1918 წლის ნოემბრის 25-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ფარლენ და დავით ჯაფარის ძე გოცირიძეებმა 10000 მან. მიჰყიდა მელქისედეკ ლუარსაბის ძე ლიბანიძეს მიწის ნაჭერი, ზომით 200 ოთხკ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის 1-ლ უბანში. გადახდილია: საქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 400 მ., მთავარი ამონაწერი 50 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე, მიცემულია. 250 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის 1 უბ. მომრიგებელ მოსამართლის მოწერილობის თანახმად, ივანე თედორეს ძე მაიოროვის უძრავ ქონებაზე, მდებარე ს. აბჟაკვაში გუმისტანის უბანში, დადებულია ყადაღა ივანე კუკლისის პრეტენზიის გამო, სულ 1,000 მან. სოხუმის ოლქის ყადაღათა კრებული 1919 წლის № 5. 548 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წელს, დეკემბრის 30, სოხუმის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის მოწერილობის თანახმად, მუსტაფა-რეჯებ-ოღლის უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. სოხუმში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე, კვ. „ნ“ № 9, დადებულია ყადაღა იმისთვის, რომ ის არ უხდის ვალს სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკს სულ 1016 მან. % და ხარჯებით. ქალ. სოხუმის 1919 წ. წ. ყადაღათა კრებული № 1. 547 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის პირველი უბნის მომრიგებელ მოსამართლის 1919 წლის მოწერილობის № 176 თანახმად, ივანე თედორეს ძე მაიოროვის უძრავ ქონებაზე, მდებარე ს. აბჟაკოვში გუმისტანის უბანში, დადებულია ყადაღა კონსტანტინე პიხტინის პრეტენზიის გამო სულ 2000 მან. სოხუმის ოლქის 1919 წ. ყადაღათა კრებული № 3. 548 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის პირველ უბნის მომრიგებელ მოსამართლის 1919 წლ. თებერვლის 22, № 176. მოწერილობის თანახმად, ივანე თედორეს ძე მაიოროვის უძრავ ქონებაზე, მდებარე ს. აბჟაკვაში, კონსტანტინე პიხტონის პრეტენზიის გამო დადებულია ყადაღა სულ 2,000 მან. სოხუმის ოლქის 1919 [illegible] № 2 548 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 15, დამტკიცებულია იმავე წლის მარტის 28, შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ევსევი სპირიდონის ძე ფანცხავამ 3,000 მან. მიჰყიდა ბესარიონ მიქელის ძე მოსიავას მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ქუთაისში მესამე ალექსანდრეს ქუჩაზე, ზომით 400 კვ. საჟენი. სიმტკიცის გადასახად მიღებულია 120 მან., მთავარი ამონაწერი 15 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. აპრილის 15. 764 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 14, დამტკიცებულია იმავე წლის თებერვლის 17 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ერასტი სტეფანეს ძე ჯოჯუამ 300 მან. მიჰყიდა რაჟდენ ბესარიონის ძე შელიას მიწის ნაჭერი, მდებარე ქალ. ფოთში, ეკლესიის ქუჩაზე, ზომით 300 კვ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 12 მან., მთავარი ამონაწერი 1 მან. 50 კაპ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. აპრილის 14. 763 1—1

ოპეკუნი გარდაცვალებულ არშავის არუთინის ძე დიატიანცისა, მკრტიჩ ნერსის ძე მაგაკიანცი იუწყება, რომ დაკარგულია საქონლის მისაღები კვიტანციები რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ტფილისის კანტორიდან, მიღებული იმავე საზოგადოების ოდესის კანტორიდან: № 6550339, კვიტანციები გაუქმებულად ითვლება. 624 3—2

მთავარი საბაჟო ამით აცხადებს, რომ მაისისის 21, 22 და შემდეგ დღეებში დანიშნულია მთავარ საბაჟოში საჯარო ვაჭრობა საბაჟოს მიერ ჩამორთმეულ სხვა და სხვა საქონლებისა. ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათზე. 819 3—3

დაკარგულია დროებითი მოწმობა აქციების: 1) გიორგი იოსების ძე ელერდაშვილის სახელზე №№ 4684 და 4685, 2) გიორგი გიორგის ძე ელერდაშვილის სახელზე № 5683 და 3) ლაზარე იოსების ელერდაშვილის №№ 4687 და 4688, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 605 3—3

სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოების წიგნაკი ნინო ანდრიას ასულის უმანეც დმიტრევსკის სახელზე № 1681 გაუქმებულათ ითვლება.
594. 3—3

დამზღვევი საზოგადოება „როსია“ ამით აცხადებს, რომ პოლისი № 232676, მიცემული იაკობ აიზიკ დავითის ძე სიმხოვიჩზე დაკარგულია და გაუქმებულათ ითვლება.
593. 3—3.

გირშ ბოუკელის ძე კარნილოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და რუსეთში წასვლის ნებართვა, მიღებული მლაშიო მოქალაქეთა ხამართველობიდან (მინსკის გუბერნია). № 201. 613 3—3

დაკარგულია 6 სულზე [illegible] № 37899, საღ. ნავთლუღის მეშვიდე უბანი ზეინკალის მიხეილ გუიმრაძის სახელზე. 604 3—3

ფარმაცევტი მორდუხ სოლომონის ძე გოგეშვილი აცხადებს, რომ მას ნივთებთან ერთად მოჰპარეს დოკუმენტები: აფთიაქარის თანაშემწის თანამდებობის დროებითი მოწმობა, მიღებული ხარკოვის უნივერსიტეტიდან 1914 წ. აპრილის 25 და მეტრიკული მოწმობა, მიღებული ტფილისის სინოდალურ კანტორიდან 1901 წ. დოკუმენტები გაუქმებულად ითვლება. 611 3—3

მარგარიტა მისაკის ასული ტერ-აბრამოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1. აღმასრულებელი ფურცელი, მიღებული ტფილისის ოლქის სასამართლოდან 1915 წ. მაისის 13-ს № 18249, და აღნიშნული ტფილ. ნოტ. არქ. სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1915 მაისის 28-ს № 1493, 2. მცხობელობის ფურცლის პირი, მიღებული მეოთხე სამომრიგებლო განყოფილების ბოქაულიდან 1915 წ. ივლისის 29-ს № 309 და 3. მოწმობა, მიღებული ტფ. ქალაქ. თვითმართველობიდან 1919 წ. აპრილის 12-ს № 565. 600 3—3

დაკარგულია ბილეთები ტფილისის პირველი კერძო ლომბარდისა №№ 80187 და 80200, პირველი 120 მ. და მეორე 100 მან.
609. 3—3.

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიცემული 17 დეკემბერს, 1918 წ. თევზაძეს გიმნაზიისა სერგეი კუზმანის სახელობაზე № 223, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 617 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის კვიტანცია № 81119 800 მან. ღირებულების, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 622 3—2

პავლე ალექსის ძე მინდიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 8472, მიღებული ტფ. ყოფილ პოლიცეიმეისტერის კანცელარიიდან 1911 წელს, ნოემბრის 12 და ბავშვების მეტრიკული მოწმობა, რომელნიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 619 3—2

ნასყიდობის სიგელი № 1272, მიცემული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1896 წ. თებერვლის 9, გიორგი იოსების ძე ხამაზუგოვზე, დაკარგულია გაუქმებულად ითვლება. 606 3—3

ვასილ ოთიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ჭემერტის (გორის მაზრა) სოფლის ხამართვ. პასპორტი გაუქმებულად ითვლება. 610 3—3

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი
№ 9.
„საქართველოს ეკონომისტი“

შორაპნის
სამაზრო ერობის საადგილ-მამულო განყოფილება

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ამა 1919 წლის 20, 21, 22 და 23 მაისს (ახალი სტილით) მოხდება მაზრაში არსებული აბანოების საჯარო ვაჭრობა ერთი წლით საიჯარო გასაცემათ. საჯარო ვაჭრობა მოხდება შემდეგი აბანოების იმ ადგილას, სადაც უკანასკნელნი მდებარეობენ:

1) ზვარის ბლიდი წყალის (ბოსათუბნის სას.) თბილი გოგირდიანი აბანოებში 20 მაისს 1919 წელს, დილის 10 საათზე.
2) ჯამვლის იგივე ფარცხნალის (ხარაგოულის სას.) 21 მაისს 1919 წ., დილის 10 ს.
3) სამოთხის გოგირდიანი აბანო, რომელიც იმყოფება მდ. ხაკრეულის მარცხენა ნაპირზე 22 მაისს 1919 წ. დილის 10 საათზე.
4) ნიგაზის აბანოსი სოფ. დილიკაური (დილიკაურის სას.). 23 მაისს 1919 წ. დილის 10 საათზე.
5) ჩიხის გოგირდიანი თბილი აბანო (ჩიხის სას., საჩხერის რაიონი) 20 მაისს 1919 წელს დილის 10 საათზე.
6) კვერეთის ცივი გოგირდიანი აბანო ხაში (ჩიხის სას., საჩხერის რ.) 21 მაისს 1919 წ. დილის 10 საათზე.
7) ხისათის იგივე ზედის გოგირდიანი, ნახშირმჟავიანი რკინის აბანოებში 22 მაისს 1919 წ. დილის 10 საათზე.
8) ტელეულეთის ცივი ნახშირმჟავიანი აბანო (ჩიხის სას., საჩ. რაიონი) 23 მაისს 1919 წ. დილის 10 საათზე.
9) უდეგილაშვილების ცივი გოგირდიანი აბანო (წირქვალის სას.) 20 მაისს 1919 წელს დილის 10 საათზე.

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ა. მენაღარიშვილი.
540 3—3 საადგილ-მამულო განყოფილების გამგე ა. გოცაძე.

საპონი
ტფილ. ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყოფილება

ამით იუწყებს საუბნო და სარაიონო სახლის კომიტეტებს, რომ მაისის 9-ს განყოფილება დაიწყებს საპნის განაწილებას პირველი სერიის შაქრის ბარათების მე-6 სათადარიგო ტალონით, თითო გირვანქას სულზე, მაგრამ არა მეტი 5 გირვ. ბარათზე. საპონი საწყობში ღირს 267 მ. 80 კ. ფუთი, საუბნო და სარაიონო სახლის კომიტეტები ვალდებული არიან დაურიგონ საპონი არა მეტად 6 მ. 90 კ. გირვანქა. საპონი მიეცემათ განყოფილებაში ბარათების წარმომდგენთ. მოჭრილი ტალონები არ მიიღება.

ამასთანავე ერთად განყოფილება დაურიგებს საუბნო და სარაიონო კომიტეტებს, უბარათოდ, მაგრამ პირად ბარათებზე აღნიშვნით მერლუჯი კრუპას 212 [illegible] და [illegible] ზეთის ხილს—200 მ. ფუთს, ქაშაყს (სელდი)—93 მ. ფუთს და ტომატს 60 [illegible] ტომატი, [illegible] პა და ზეთის ხილი მიეცემათ თითო გირვანქა სულზე, [illegible] მიეცემათ მხოლოდ ბოჭკებით. 3—3.